

JEL Classification: N10

<https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010>

COVID-19 AS A FORM OF HYBRID WAR

MALKHAZ CHIKOBAVA

PhD in Economics, Associate professor,

Ivane Javakishvili Tbilisi State University, Georgia

malkhaz.chikobava@tsu.ge

Abstract. The article presents a comparative analysis of the Great Depression of the 1930s and the current global financial and economic crisis. It is emphasized that overcoming the first great depression and eliminating imbalances in the economy was achieved only during the Second World War, and the modern crisis, which has been raging for 11 years, has not yet ended. This crisis was not followed by the elimination of all imbalances accumulated in the economy. After the acute phase (recession) ended in 2009, stagnation (depression) occurred, which needed to be restored. We have been waiting for a revival for many years, now 2020, but it is not visible.

Comparing the crisis of the 30s of the last century and the current global financial and economic crisis, the following differences are obvious: stagnation in the 1930s lasted from 1933 to 1939, or six years that ultimately ended in World War II. After the crisis of 2007-2009, stagnation continued for 11 years, with depression almost two times longer and more delayed. Despite the fact that in a sense, the situation in Western countries is better in the 21st century than in the 1930s, since there is no longer the Soviet Union with its dynamically developing economy, but China has unprecedentedly high rates of economic growth. The thirty-year economic dynamics of China can definitely be called a boom phase. Not a single country in the West has experienced such a long boom in the history of capitalism. It is clear that in such a situation the West must do something.

Of course, the West, through war, has repeatedly overcome the accursed resistance of the capitalist rule of production. But with the help of war, overcoming the contradiction of capitalism today is deadly dangerous. The first two world wars occurred without the use of nuclear weapons or any other weapons of mass destruction. The third world war, of course, will be accompanied by the inevitable use of weapons of mass destruction. And therefore, it is necessary to change something in the world war, which will magically help correct the imbalance of the capitalist economy, revive it, and maintain the status quo of the ruling elite.

An alternative to a hot war can be the Cold War, which today they prefer to call hybrid. It involves the use of financial, commercial, economic, psychological and information resources. However, all this is not enough to provide the authorities with powers that would allow them to move from market methods to administrative-command methods of managing the economy. It is with the help of the latter that the imbalance that has accumulated in the economy can be overcome.

It is in this context that Coronavirus “appears” as an alternative to the global war to eliminate the imbalances accumulated in the leading economies of the world.

KEYWORDS: GLOBAL ECONOMIC CRISIS, RECESSION, DEPRESSION, CORONAVIRUS.

For citation: Chikobava, M., (2020). Covid – 19 as a Form of Hybrid War. *Globalization and Business*, 10. 79-85. (In Georgian) <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010>

COVID-19, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმა

მალხაზ ჩიქობავა

ეკონომიკის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი,

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
malkhaz.chikobava@tsu.ge

საკვანძო სიტყვები: გლობალური ეკონომიკური კრიზისი, რემესია, დეპრესია, კორონავირუსი.

ციტირებისთვის: ჩიქობავა მ. (2020). COVID-19, როგორც ჰიბრიდული ომის ერთ-ერთი ფორმა. *გლობალიზაცია და ბიზნესი*, №10, გვ. 79-85. <https://doi.org/10.35945/gb.2020.10.010>

1929 წლის ნოემბერში, ნიუ-იორკის საფონდო ბირჟაზე პანიკიდან დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური კრიზისი. წლის ბოლოსათვის პანიკა ნიუ-იორკის საბირჟო მოედნის საზღვრებს შორის გავდა. გაჩერდა საწარმოები, გათავისუფლდა ასობით ათასი მუშაკი, ადგილი ჰქონდა არა მხოლოდ წვრილი, არამედ გიგანტური ამერიკული კომპანიების გაკოტრებას.

1930 წელს ეკონომიკურმა კრიზისმა მოიცვა ევროპა, ლათინური ამერიკა, აზია და ის მსოფლიო მასშტაბის კრიზისად ჩამოყალიბდა. წარმოების საყოველთაო ვარდნა (რეცესია) 1933 წლამდე გაგრძელდა. ამერიკის ეროვნული შემოსავალი 1929 წელს არსებული 87,8 მილიარდი დოლარიდან 40,2 მილიარდ დოლარამდე დაეცა 1933 წლისათვის. კრახი განიცადა 135 ათასზე მეტმა სავაჭრო, სამრეწველო და ფინანსურმა კომპანიამ. კრიზისის სამი წლის განმავლობაში გაკოტრდა ამერიკული ბანკების თითქმის ნახევარი (<https://www.fondsk.ru/news/2019/10/24/chernyichetverg-24-oktjabrja-1929-goda-bankrotstvo-nauchnobosnovannogo-optimizma-49304.html>).

შემდეგ ვარდნა შეჩერდა, დაიწყო სტაგნაციის (უძრაობის) ფაზა. სხვადასხვა ქვეყანაში ხელისუფალთა მხრიდან ადგილი ჰქონდა ტიტანურ ძალისხმევას საკუთარი ეკონომიკების უძრაობის ჭაობიდან ამოსაყვანად. პოპულარული გახდა ინგლისელი ეკონომისტის ჯონ მეინარდ კეინზის იდეა, რომელიც მხარს უჭერდა სახელმწიფოს აქტიურ ჩარევას ეკონომიკურ ცხოვრებაში. კეინზი წარმოშობილი კრიზისის ძირითად მიზეზად მიიჩნევდა, ერთი მხრივ, საქონლისა და მომსახურების წარმოებასა და, მეორე მხრივ, მოსახლეობის შეზღუდულ გადახდისუნარიან მოთხოვნას შორის დისპროპორციას. კეინზამდე XIX საუკუნის 60-იან წლებში იმავს ამბობდა კარლ მარქსი „კაპიტალში“, რომელიც ვარაუდობდა, რომ წარმოების კაპიტალისტური წესის ფარგლებში მოცემული წინააღმდეგობა დაუძლეველია.

კეინზი ასე არ თვლიდა, ის გეთავაზობდა მოსახლეობის არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის კომპენსირებას სახელმწიფოს მხრიდან, სახელმწიფო ბიუჯეტის მეშვეობით საქონლის შესასყიდად და შეკვეთების განსახორციელებლად. სახელმწიფოს მიერ სამხედრო შეკვეთები და სამხედრო დანახარჯები, კეინზის აზრით, საფასებით გამოსადეგი იყო არასაკმარისი გადახდისუნარიანი მოთხოვნის საკომპენსაციოდ. სახელმწიფო დანახარჯების გაფართოების მიზნით ინგლისელი ეკონომისტის აზრით შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტამდე დაყვანა, ამ დეფიციტის სახელმწიფო სესხებისა და სუვერენული ვალის გაფართოების გზით. ყოველივე ამის შესახებ დაწვრილებით ინფორმაცია შეიძლება მივიღოთ 1936 წელს გამოცემული კეინზის მთავარი წიგნის „დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორიის“ გაცნობის შემდეგ.

დასავლეთში ცდილობდნენ კეინზის რეცეპტების გამოყენებას რთული ეკონომიკური სიტუაციიდან გამოსასვლელად. ყველაზე თანმიმდევრულად ინგლისელი ეკონომისტის იდეებს ცხოვრებაში ატარებდა აშშ-ის ხელისუფლება. ამის პრაქტიკული რეალიზაცია დაიწყო თეთრ სახლში 1933 წელს ფრანკლინ დელანო რუზველტის მოსვლით თავისი „ახალი კურსით“ (New Deal), რამაც შეამსუბუქა ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური სიტუაცია. სახაზინო ფულის ხარჯზე ხორციელდებოდა საზოგადოებრივი სამუშაოების დაფინანსება, კერძოდ, გზების მშენებლობა, მელიორაცია, არხების გაყვანა, ტყის განაშენიანება და შრომითი საქმიანობის სხვა სახეები, რომლებიც არ მოითხოვდა მუშაკთა განსაკუთრებულ კვალიფიკაციას. ამ პროგრამამ მილიონობით უბრალო ამერიკელს დასაქმების შესაძლებლობა და მინიმალური საარსებო საშუალება მისცა, მაგრამ ამერიკის გამოყვანა უძრაობის მდგომარეობიდან მან მაინც ვერ შეძლო. ხელისუფლებამ სილატაკის დაძლევა კი ვერ

მოახერხა. ამერიკელები აღიარებენ, რომ აშშ-ში კრიზისისა და დეპრესიის წლებში შიმშილისაგან, სხვადასხვა შეფასებით, 5-6 მილიონი ადამიანი დაიღუპა. აშშ-ის მსგავსად ევროპაშიც შენარჩუნდა უძრავობა და მოსახლეობის სიღარიბე (Tuquell, 1957).

გამონაკლისი იყო მხოლოდ ორი ქვეყანა – საბჭოთა კავშირი და გერმანია. 1930-იან წლებში საბჭოთა კავშირი დინამიურად ვითარდებოდა, ხორციელდებოდა ინდუსტრიალიზაცია, რაც მთელ მსოფლიოს უჩვენებდა ეკონომიკის სოციალისტური მოდელის უპირატესობას. გერმანიამ, რომელიც თავდაპირველად სტაგნაციას განიცდიდა დასავლეთის სხვა ქვეყნებთან ერთად, ხელისუფლებაში 1933 წელს ჰიტლერის მოსვლის შემდეგ ასევე დაიწყო დინამიური განვითარება; ქვეყანაში მოხდა „ეკონომიკური სასწაული“, რომელიც, ძირითადად, ამერიკული და ნაწილობრივ ინგლისური ბანკების ფულით იკვებებოდა, რითიც ამზადდებდნენ ჰიტლერს, იერიში მიეტანა აღმოსავლეთზე საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ (<https://www.fondsk.ru/news/2019/10/09/anglo-amerikanskiy-biznes-s-nacistami-49197.html>)

კეინზიანურ მეთოდებს სასწაული არ მოუხდენია. იმ დროისათვის მეურნეობის გამოცოცხლების ყველა არსებული ეკონომიკური მეთოდი ამოწურულ იქნა. დასავლეთისათვის ეს განსაკუთრებით საშიში გახდა საბჭოთა კავშირის მაღალი ეკონომიკური დინამიკის ფონზე – საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკურ დინამიკაში ამგვარ კონტრასტებს შეეძლო გამოეწვია სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება მსოფლიოში. ამან დასავლეთის მმართველი წრეები ურყევად მიიყვანა იმ აზრამდე, რომ ქრონიკულად ქცეული ეკონომიკური სტაგნაციიდან ერთადერთი გამოსავალი შეიძლება ყოფილიყო ომი, თანაც, მსოფლიო, დიდი ომი.

პირველი მსოფლიო ომის მაგალითზე აშკარა გახდა, რომ გლობალურ შეიარაღებულ კონფლიქტებს შეეძლო რადიკალურად შეეცვალა ქვეყნების ეკონომიკური მდგომარეობა. მართლაც, პირველ მსოფლიო ომამდე აშშ მსოფლიოში ყველაზე მსხვილი საერთაშორისო მოვალე ქვეყანა იყო ეკონომიკის კერძო სექტორის ვალის მიხედვით (სახელმწიფო ვალის მიხედვით კი პირველ ადგილზე იმყოფებოდა ცარისტული რუსეთი). პირველი მსოფლიო ომის დასრულებისთანავე ამერიკა უმსხვილესი ნეტო-კრედიტორი გახდა, აშშ დოლარი კი მსოფლიო ვალუტად გადაიქცა ბრიტანულ ფუნტ სტერლინგთან ერთად.

აშშ, ინგლისი, საფრანგეთი, გერმანია, იტალია, იაპონია, ასევე სხვა წამყვანი კაპიტალისტური ქვეყნები შეუდგნენ მეორე მსოფლიო ომისათვის მზადებას. ითვლებოდა, რომ ომის შედეგად ჩამოიწერებოდა ყველა ვალი, ეკონომიკაში დისბალანსი გაქრებოდა, დაიწყებოდა ნულოვანი სალდოს ბალანსების მქონე ეროვნული ეკონომიკების თავბრუდამხვევი განვითარება. მოვალე ქვეყნები ოცნებობდნენ, რომ გაიმარჯვებდნენ ან თუნდაც გაანადგურებდნენ თავიანთ კრედიტორებს. კრედიტორი ქვეყნები კი ოცნებობდნენ, რომ

მიიღებდნენ ბაზრებს, მოვალეთა ბუნებრივ რესურსებსა და მილიარდობით რეპარაციებს დამარცხებულებსგან. მეომარი ქვეყნების შიგნით საბაზრო ეკონომიკის ბუნებრივ წესებზე დადებულ იქნა მორატორიუმი, სახელმწიფო ეყრდნობოდა რა საომარ ვითარებას, თავისი რკინის ხელეობით ახდენდა დაგროვებული დისბალანსების (მოთხოვნებისა და ვალდებულებების) გაწონასწორებას. ომი სახელმწიფოს ხელში უძლიერეს არგუმენტად იქცა, შემოელო კაპიტალისტურ ეკონომიკაში რკინის წესრიგი ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მეთოდებით. არავითარ კეინზიანელობას ეს არ ძალუძს. მეორე მსოფლიო ომიც, რომელიც 1939 წლის 1 სექტემბერს დაიწყო, სახიფათოდ გაჭიანურებული სტაგნაციიდან მსოფლიო კაპიტალიზმის გამოყვანის საშუალებად იქცა.

რა ხდება ჩვენს ეპოქაში – XXI საუკუნეში. 2007-2009 წლებში მსოფლიომ გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისი განიცადა. ამ კრიზისს არ მოჰყოლია ეკონომიკაში დაგროვებული ყველა დისპროპორციის ლიკვიდაცია. 2009 წელს მწვავე ფაზის (რეცესიის) დასრულების შემდეგ დადგა სტაგნაცია (დეპრესია), რომელსაც უნდა მოჰყოლოდა გამოცოცხლება. გამოცოცხლებას მერამდენე წელია ველოდებით, ამჟამად 2020 წელია, მაგრამ ის არა და არ ჩანს.

გასული საუკუნის 30-იანი წლებისა და თანამედროვე გლობალური ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისების შედარებისას აშკარად იკვეთება შემდეგი განსხვავებები: 1930-იან წლებში სტაგნაცია 1933 წლიდან 1939 წლამდე, ანუ ექვსი წელი გაგრძელდა, რომელიც საბოლოოდ დასრულდა II მსოფლიო ომით. 2007-2009 წლების კრიზისის შემდეგ სტაგნაცია უკვე 11 წელია გრძელდება, ანუ დეპრესია თითქმის ორჯერ და უფრო მეტადაა გაჭიანურებული. გარკვეული აზრით, დასავლეთის ქვეყნების მდგომარეობა XXI საუკუნეში უკეთესია, ვიდრე 1930-იან წლებში, რამდენადაც უკვე არ არსებობს საბჭოთა კავშირი თავისი დინამიკურად განვითარებადი ეკონომიკით. დასავლეთის საბჭოთა კონკურენტი გაქრა, მაგრამ არსებობს ჩინეთი თავისი უპრეცედენტოდ მაღალი ეკონომიკური ზრდის ტემპებით. ჩინეთის ბოლო ოცდაათწლიან ეკონომიკურ დინამიკას შეიძლება ცალსახად აღმავლობის ფაზა ვუწოდოთ. ასეთი ხანგრძლივი აღმავლობა დასავლეთის არცერთ ქვეყანას არ განუცდია კაპიტალიზმის მთელი ისტორიის მანძილზე. ცხადია, ასეთ ვითარებაში დასავლეთამც რაღაც უნდა მოიმოქმედოს.

რა თქმა უნდა, დასავლეთის მმართველი წრეების წარმომადგენლებს არაერთხელ მოსვლიათ აზრად დიდი ომის გაჩაღებისა და მისი დახმარებით წარმოების კაპიტალისტური წესის წყვეული წინააღმდეგობის კიდევ ერთხელ დაძლიების იდეა. აზრი ძალიან მაცდურია, მაგრამ ერთდროულად მომაკვდინებელიც. აკი პირველი – ორი ომი ბირთვული იარაღისა და მასობრივი განადგურების რაიმე სხვა სახის იარაღის გამოყენების გარეშე მოხდა. მესამე მსოფლიო ომს კი, ცხადია, მასობრივი განადგურების იარაღის გარდაუვალი

გამოყენება მოჰყვება. საჭირო და აუცილებელია მსოფლიო ომში რაღაცის შეცვლა, რომელიც ჯადოსნურ დახმარებას გაუწევს კაპიტალისტური ეკონომიკის დისბალანსის გამოსწორებას, მის გამოცოცხლებას, მმართველი ელიტის სტატუს-კვოს შენარჩუნებას.

ცხელი ომის ალტერნატივად შეიძლება იქცეს ცივი ომი, რომელსაც დღეს ამჯობინებენ უწოდონ ჰობრიდული. ის გულისხმობს მოწინააღმდეგის მიმართ ფინანსური, სავაჭრო-ეკონომიკური, ფსიქოლოგიური, ინფორმაციული საშუალებების, ასევე კიბერარაღისა და სპეცსამსახურების განსაკუთრებული მეთოდების გამოყენებას. თუმცა, ყოველივე ეს არასაკმარისია ხელისუფლებებისათვის უფლებამოსილებების მისანიჭებლად, რაც მათ საბაზრო მეთოდებიდან ეკონომიკის ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვის მეთოდებზე გადასვლის საშუალებას მისცემდა. სწორედ ამ უკანასკნელის დახმარებითაა შესაძლებელი ეკონომიკაში დაგროვებული დისბალანსის დაძლევა.

სწორედ ამ ვითარებაში „ჩნდება“ კორონავირუსი. ხელისუფლებებმა დაიწყეს საშიშროების გაბეჭება საზოგადოებაში შიშისა და პანიკის ატმოსფეროს შექმნით. სარგებლობენ რა დათესილი შიშით, ხელისუფლებები ღებულობენ შეუზღუდავ უფლებამოსილებებს, იწყებენ ეკონომიკაში აქტიურ ჩარევას. ასეთი მეთოდები ეწინააღმდეგება „ცივილიზებული“ კაპიტალიზმის პრინციპებს, მაგრამ ადმინისტრაციულ-მბრძანებლური მართვა მუდმივი არ იქნება. როგორც კი დისპროპორციები ეკონომიკაში გამოსწორდება, ყველაფერი კვლავ იმავე წრეზე დატრიალდება: ისევ დაბრუნდება მართვის საბაზრო მეთოდები, კვლავ აღდგება „ცივილიზებული“ კაპიტალიზმი, დაიწყება გამოცოცხლება, რომელიც შემდეგ გადაიზრდება ხანგრძლივ ეკონომიკურ ზრდაში.

ექსპერტები ამბობენ, რომ „საგანგებო ეკონომიკური მდგომარეობის“ რეჟიმი წლის ბოლომდე გაგრძელდება – მაქსიმუმ, მომდევნო წლის შუა პერიოდამდე. „ვირუსული ომი“ იქნება ელვისებური და გამარჯვებით დასრულებული. ამ პერიოდში ადგილი ექნება მასობრივ ბანკროტობას, მოხდება ვალებისა და თანხებზე მოთხოვნის ლიკვიდაცია, რომელიც ტრილიონობით დოლარია. მოხდება საფონდო და სხვა ფინანსურ, ასევე სასაქონლო და უძრავი ქონების ბაზრებზე ფინანსური ბუშტების გაბერვა. კომპანიების კაპიტალიზაცია ჩამოიშლება, რომლის მასშტაბი ათობით ტრილიონს მი-აღწევს. ეკონომიკა კვლავ დაიწყებს „ამოსუნთქვას“ და დაიწყება გამოცოცხლება და ეკონომიკური ზრდა.

ამ მიმართულებით მსოფლიოს წამყვან ეკონომიკებში მნიშვნელოვანი ფინანსური ინექციების პაკეტი იქნა შემოთავაზებული. აღსანიშნავია აშშ-ის მონეტარულ ხელისუფალთა გადაწყვეტილება მსოფლიო პანდემიის წინააღმდეგ საბრძოლველად. მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე წლის მარტის ბოლოს სენსაციური ახალი ამბავი გაავრცელა. ამერიკის პრეზიდენტის მრჩეველმა ეკონომიკურ საკითხებში ლარი კუდლოუმ (Larry Kudlow) 24 მარტს პრეს-კონფე-

რენციაზე დაასახელა დახმარების მთლიანი თანხა, რომელსაც აშშ-ის ხელისუფლება გამოყოფს კორონავირუსთან საბრძოლველად – 6 ტრილიონ დოლარი. ორი ტრილიონი სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი პირდაპირი დახმარებაა, კიდევ 4 ტრილიონი – ფედ-ის კრედიტების ხარჯზე მიღებული დამხმარება (<https://www.nationalreview.com/news/coronavirus-relief-white-house-adviser-larry-kudlow-projects-aid-package-to-reach-roughly-6-trillion/>).

ექვსი ტრილიონი – ესაა აშშ-ის წლიური მთლიანი სამამულო პროდუქტის დაახლოებით 30%. ამერიკაში არასოდეს ჰქონია ადგილი ასეთ მასშტაბურ ფულად ინექციას. გასული საუკუნის 70-იან წლებამდე აშშ-ში ადგილი არც შეიძლება ჰქონოდა „რაოდენობრივი შერბილების“ რაიმე პროგრამას იმ მიზეზის გამო, რომ ეს იყო ოქროს სტანდარტის ეპოქა, რომლის დროსაც ამერიკის ცენტრალური ბანკის ფულადი ემისია იზღუდებოდა ოფიციალური ოქროს რეზერვებით. საბიუჯეტო ფულის შეუკავებელი გაცემაც ვერ მოხდებოდა – ჯერ კიდევ არ იყო ჩამოყალიბებული სისტემა, რომლის დროსაც აშშ-ის ფინანსთა სამინისტრო განსაკუთრებული პრობლემების გარეშე შეძლებდა ბიუჯეტის დეფიციტის დაფარვას სახაზინო ობლიგაციების ემისიით.

პანდემიასთან ბრძოლის საბიუჯეტო ფული 2 ტრილიონი დოლარის ოდენობით – ეს არ არის კონგრესის მიერ მიმდინარე ფინანსური წლისათვის (რომელიც დაიწყო 2019 წლის 1 ოქტომბერს) ფედერალური ბიუჯეტის შესახებ მიღებული კანონის ფარგლებში ფულადი საშუალებების გადანაწილების შედეგი. ეს დამატებითი ხარჯებია, რომელიც გამოიწვევს ამერიკის ბიუჯეტის დეფიციტის ზრდას. 2020 წლის ბიუჯეტის შესახებ კანონით დეფიციტი თითქმის 1 ტრილიონ დოლარს აღწევდა. 2020 წლის იანვარში ფინანსთა სამინისტრომ განაცხადა, რომ დეფიციტი, როგორც მოსალოდნელია, გადააჭარბებს 1 ტრილიონ დოლარს. ბოლოს ასეთი დეფიციტი დაფიქსირდა 2012 წელს. რეკორდული კი ამერიკის ისტორიაში იყო ბიუჯეტის დეფიციტი 2009 წლის ბოლო კრიზისის შუაგულში – 1,4 ტრილიონი დოლარი. 2020 წლის ივნისი ბოლოს აშშ-ის ფედერალური ბიუჯეტის დეფიციტი უკვე 3 ტრილიონ დოლარს აჭარბებს!!!

ამერიკის 2 ტრილიონი დოლარის პირდაპირი (საბიუჯეტო) დახმარებიდან ნახევარი (1 ტრილიონი დოლარი) იქნება მოსახლეობისადმი ფულის პირდაპირი დარიგება, საიდანაც ათასი დოლარი მიეცემა ყოველ სრულწლოვანს, ხოლო 500 დოლარი – ყოველ არასრულწლოვანს. ასეთი გასაცემლები, მოწოდებულია, შეასრულოს სოციალური ამოცანებიც (ამერიკელებისადმი, განსაკუთრებით ღარიბებისადმი დახმარება) და ეკონომიკურიც (მოსახლეობის გადახდისუნარიანი მოთხოვნის ამაღლება). საბიუჯეტო ფულის მეორე ნახევარი მოხმარდება მცირე ბიზნესის მხარდაჭერას, მათ შორის, საგადასახადო არდადეგების შეთავაზებით (350 მლრდ დოლარის ოდენობით), უმუშევრობაზე შემწეობების პროგრამის გაფართოებას (250 მლრდ დოლარის ოდენო-

ბით), აგრეთვე ფიზიკური პირებისადმი საგადასახადო არდადეგების შეთავაზებით.

ფინანსთა მინისტრის სტივენ მუნჩინის სიტყვებით, ბიზნესისადმი დახმარების პაკეტი მოიცავს ათასობით კომპანიას 500 კაცამდე მუშაკის რაოდენობით. კომპანიები მას მიიღებენ იმის სანაცვლოდ, რომ ივალდებულებენ მუშაკების შენარჩუნებას ორი კვირის განმავლობაში. მინისტრმა განაცხადა, რომ ბიზნესისადმი დახმარება შეეხება ამერიკის ეკონომიკის დაახლოებით 50%-ს და მუშაკთა დაახლოებით 80 მილიონს (ყველა დასაქმებულთა დაახლოებით ნახევარს).

აშშ-ის ფედერალური სარეზერვო სისტემა მარტში არანაკლები ოპერატიულობით მოქმედებდა, ვიდრე ფინანსთა სამინისტრო. ღია ბაზრის ოპერაციების კომიტეტის ორ საგანგებო სხდომაზე მან მიიღო გადაწყვეტილება ისედაც დაბალი საკვანძო განაკვეთის მკვეთრად შემცირებაზე. შედეგად, განაკვეთი ჯერ 0,5, შემდეგ 1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და დღეისათვის 0-0,25%-ს შეადგენს. ფაქტობრივად ფული, რომელიც გაიცემა კრედიტების სახით, უფასო სესხებად გვევლინება.

გასული წლის ოქტომბერში ფედ-მა დაიწყო რაოდენობრივი შერბილების ახალი რაუნდი. ამერიკის ცენტრალურმა ბანკმა მარტის დასაწყისში განაცხადა, რომ ახალი რაუნდის ფარგლებში შეისყიდის სახაზინო ფასიან ქაღალდებს, სულ მცირე, 500 მლრდ დოლარის ოდენობით, აგრეთვე იპოთეკურ ქაღალდებს მინიმუმ 200 მლრდ დოლარის ოდენობით. 2020 წლისათვის ფედ-ის აქტივები უნდა გაიზარდოს 4,3 ტრლნ დოლარიდან 5 ტრლნ დოლარამდე.

ფედერალურმა სარეზერვო სისტემამ (ფედ-ი) ფასიანი ქაღალდების შესყიდვისა და აქტივების გაფართოების წლიური გეგმა უკვე აპრილის დასაწყისისთვის შეასრულა. ფედ-მა 23 მარტიდან დაიწყო სახაზინო ფასიანი ქაღალდების შესყიდვა დღიურად 75 მლრდ დოლარის ოდენობით, ხოლო იპოთეკური ქაღალდებისა – 50 მლრდ დოლარის ოდენობით დღიურად. კვირის (ხუთი სამუშაო დღის) განმავლობაში ჯამურმა შესყიდვებმა 625 მლრდ დოლარი შეადგინა. ეს თანხა შესადარებელია ფედ-ის ყველა აქტივის სიდიდესთან, რომელიც 2000-იანი წლების დასაწყისში არსებობდა. ფედ-ის მიერ ფასიანი ქაღალდების ყოველდღიური შესყიდვები უფრო ინტენსიური იყო, ვიდრე რაოდენობრივი შერბილების მეორე პროგრამის მოქმედების პერიოდში. მისმა სიდიდემ ამ უკანასკნელს 30-ჯერ გადააჭარბა, ხოლო უკანასკნელ პროგრამას, რომელიც 2019 წლის ოქტომბერში ამოქმედდა, 42-ჯერ გადააჭარბა! საინტერესოა, რა მოხდება რაოდენობრივი შერბილების ბლიცოპერაციის გატარების შემდეგ? ფედ-ი დაუბრუნდება ფასიანი ქაღალდების შესყიდვების უწინდელ ნორმას? თუ კვირის განმავლობაში წლიური ნორმის შესრულებით შეაჩერებს რაოდენობრივი შერბილების პროგრამას? ან, თუკი ბლიცოპერაცია არ გამოიღებს მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტს, გაგრძელდება შესყიდვები იგივე ინტენსივობით? ფედ-ის თავმჯდომარეს ჯერომი

პაულს ამის თაობაზე არავითარი ახასნა-განმარტება არ გაუკეთებია.

სინამდვილეში რაოდენობრივი შერბილების მასშტაბები ბევრად მეტია, ვიდრე ის, რასაც ფედ-ი აცხადებს. აკი, სახაზინო და იპოთეკური ქაღალდების შესყიდვის გარდა, ფედრეზერვი ემზადება შეისყიდოს კომერციული ფასიანი ქაღალდები – კორპორაციული ობლიგაციები და ვექსლები. გათვალისწინებულია სამი ახალი მექანიზმის შექმნა, რომლებიც იქნებიან შუამავლები ამერიკულ ცენტრალურ ბანკსა და კომერციული ფასიანი ქაღალდების გამომშვებ საბოლოო მსესხებლებს შორის.

პირველი მათ შორის – Primary Market Corporate Credit Facility (PMCCF), პირველადი ბაზრის კორპორაციული საკრედიტო ხაზია. ეს მექანიზმი, როგორც მისი სახელწოდებიდან გამომდინარეობს, მოწოდებულია, შეისყიდოს ახალი კორპორაციული ქაღალდები ბაზარზე მათი პირველადი განთავსების დროს.

მეორე – Secondary Market Corporate Credit Facility (SMCCF) – მექანიზმი მოწოდებულია ქაღალდების მხარდასაჭერად, რომელიც უკვე მიმოიქცევა ბაზარზე. რაც მთავარია, ამერიკული ცენტრალური ბანკი კომერციული ფასიანი ქაღალდების შესყიდვით არა მხოლოდ მხარს უჭერს ბიზნესს მძიმე მომენტში, არამედ მზადაა, ხელი გაუმართოს თავის მოვალეებს. მსესხებლები უფლებას ღებულობენ, გადაავადონ პროცენტებისა და ძირითადი თანხის გადახდა პირველი – ექვსი თვის განმავლობაში ამერიკული ცენტრალური ბანკის შუამავლობით კომერციული ფასიანი ქაღალდების შესყიდვის შემდეგ.

მოქმედებაში შემოდის კიდევ ერთი მექანიზმი – Term Asset-Backed Securities Loan Facility (TALF), უზრუნველყოფილი ფასიანი ქაღალდების ვადიანი საკრედიტო ფონდი. აშშ-ის კომერციული ბანკები გასცემენ კრედიტებს მომხმარებლებზე და მცირე და საშუალო ბიზნესის კომპანიებზე, რომლებიც უზრუნველყოფილია მცირე ბიზნესის ადმინისტრაციის (SMB) გარანტიებით და ზოგიერთ სხვა უზრუნველყოფილ კრედიტებს ბიზნესზე. კომერციული ბანკები მათ საფუძველზე უშვებენ სავალო ფასიან ქაღალდებს. ამგვარ ოპერაციას ეწოდება საბანკო კრედიტების სეკურტიტიზაცია. აშშ-ის ცენტრალური ბანკი TALF-ის მექანიზმის მეშვეობით ყიდულობს ამ ფასიან ქაღალდებს.

ფედ-ი არაპირდაპირ მხარს უჭერს მუნიციპალურ ხელისუფლებას, რომლებიც ფართოდ მიმართავენ კრედიტებსა და სესხებს. ასეთი მხარდაჭერა გაფართოვებული იქნება Money Market Mutual Fund Liquidity Facility (MMLF)-ის არსებული მექანიზმის მეშვეობით – ფულადი ბაზრის ურთიერთფონდის ლიკვიდურობის ფონდით. აშშ-ის ცენტრალურმა ბანკმა განაცხადა, რომ უახლოეს პერიოდში დამატებით დახმარებას გაუწევს ადგილობრივ მთავრობებს მუნიციპალური ფასიანი ქაღალდების სიის გაფართოებით, რომლის შესყიდვის უფლებაც მიეცემა ამ ფონდს.

არსებობს სხვა ინიციატივებიც, რომლებიც ბოლო კვირების განმავლობაში ბარაქიანად გადმოედინებოდა ფედერალური რეზერვიდან. მათ შორის ჯერ კიდევ ყველაფერი გასაგები არაა, ცენტრალურს ბანკს ჯერ დეტალები არ გაუმჟღავნებია. მაგალითად, არ არსებობს დეტალები მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გამოცხადებულ პროგრამებზე.

ასევე უნდა გავიხსენოთ, რომ მარტში ფედ-მა, როგორც საბანკო რეგულატორმა, მიიღო უპრეცედენტო გადაწყვეტილება კომერციული ბანკების დარეზერვების ნორმის შემცირებაზე 10 პროცენტიდან ნულამდე. მაგრამ, შეამცირა რა ნულამდე დარეზერვების ნორმა, ფედ-ის ხელმძღვანელებს უნდა ამოეღოთ სახელწოდებიდან „ფედერალური სარეზერვო სისტემა“ მეორე სიტყვა. დარეზერვების განაკვეთის განულება მკვეთრად ამაღლებს მასშტაბური საბანკო კრიზისის ალბათობას. ეს უფრო მასშტაბურიც კი შეიძლება იყოს, ვიდრე 1929-1933 წლების რეცესიის წლებში, როცა მთელი ამერიკული ბანკების თითქმის ნახევარი გაკოტრდა.

თუ დავაჯამებთ „რაოდენობრივი შერბილების“ (გაფართოებული განმარტებით) გემოჩამოთვლილ პოზიციებს, მაშინ დაახლოებით ვღებულობთ ფედ-ის მიერ 4 ტრილიონი დოლარის სენსაციურ საკრედიტო მხარდაჭერის თანხას. როგორც ჩანს, ამ მხარდაჭერის დიდი ნაწილი კვალიფიცირდება, როგორც „საგანგებო დახმარება“, ის არ გაიწელება წლის დასრულებამდე. მაგრამ, სად არის გარანტია იმისა, რომ ამერიკის ცენტრალური ბანკის მიერ მიღებული ზომები საკმარისი იქნება? აკი არც ჯერომ პაუელმა, არც ფედ-ის მმართველთა საბჭოს წევრებმა არ იციან, თუ როდემდე გასტანს პანდემია. ფედ-ის ხელმძღვანელობასაც არ გააჩნია ნათელი წარმოდგენა იმაზე, თუ როგორ უნდა გამოვიდნენ პანდემიით პროვოცირებული ფინანსური და ეკონომიკური კრიზისიდან. საკრედიტო მხარდაჭერაზე გამოყოფილი ტრილიონი დოლარი ვერაფრით შეძლებს გავლენა მოახდინოს ვირუსული პანდემიის მიზეზებზე და იმ აჟიოტაჟზე, რომელიც მის ირგვლივ წარმოიშვა.

ტრილიონობით მხარდაჭერა ძალიან ძვირი დაჯდება. პაციენტი (ამერიკული ეკონომიკა) შეიძლება უკიდურესად სავალალო მდგომარეობაში აღმოჩნდეს, მაგრამ არა ავადმყოფობის (კორონავირუსის), არამედ მკურნალობის – ინექციების უზარმაზარი დოზის (ტრილიონობით დოლარის საკრედიტო მხარდაჭერის) გამო.

როგორც ჩანს, დონალდ ტრამპს ეს ესმის. მან 24 მარტს ტელეარხ Fox News-ის ეთერში განაცხადა: „ჩვენ ვრისკავთ ქვეყნის განადგურებით“. ტრამპმა მოუწოდა კარანტინის გაუქმება სამი კვირის შემდეგ, მან ზღვრად დაასახელა 12 აპრილი – დღე, როცა ამერიკაში აღინიშნება აღდგომა. აი ასეთ სააღდგომო საჩუქარს პირდებოდა პრეზიდენტი ამერიკელებს: „ჩვენ გვჭირდება, დავუბრუნდეთ სამუშაოს“, – განაცხადა პრეზიდენტმა, თან დასძინა, რომ „მასშტაბურ რეცესიასა თუ დეპრესიაში“ შეიძლება მეტი ადამიანის

დაკარგვა, ვიდრე ვირუსის შედეგად (<https://edition.cnn.com/2020/03/24/politics/trump-easter-economy-coronavirus/index.html>).

ტრამპის ამ განცხადებამ ყველა როდი გაახარა. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც აზვიადებდნენ და დღემდე აგრძელებენ კორონავირუსის გარშემო ისტერიის გაზვიადებას და ურყევად მიჰყვებიან თავიანთ შორსმიმავალი მიზნების აღსრულებას. უკმაყოფილება უკვე გამოხატეს უოლ-სტრიტის წარმომადგენლებმა. ისინი იმედოვნებდნენ, რომ „ფინანსური დახმარება პანდემიის პირობებში“ გაგრძელდებოდა. ქვეყნის მონეტარული ხელისუფლება (ხაზინა და ფედერალური სარეზერვო სისტემა) ვირუსული ფსიქოზის პირობებში აგრძელებს ტრილიონობით დოლარების გამოყოფას (რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი, ასე თუ ისე, მაინც საფინანსო-საბანკო სექტორში აღმოჩნდება). ჩვენ ვხედავთ ამერიკაში სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფს შორის ბრძოლის გამწვავებას, რომელსაც თითქმის არაფერი აკავშირებს ვირუსთან და მედიცინასთან.

სხვათა შორის, აღსანიშნავია აშშ-ში ვირუსის წინააღმდეგ უშუალოდ საბრძოლველად გამოყოფილი საბიუჯეტო თანხა – 46 მლრდ დოლარი. რა თქმა უნდა, თანხა ძალიან შთამბეჭდავია. თუმცა, 6 ტრილიონი დოლარის ოდენობის ზოგადი ფულადი ინექციების ფონზე ეს თანხა ძალზე მოკრძალებულია – 0,77%. ასე რომ, მართლა ებრძვის ამერიკა კორონავირუსს თუ მას სულ სხვა მიზნები ამოძრავებს?

„ვირუსული ომი“ დასრულდება არა მაშინ, როდესაც სამედიცინო სტატისტიკა გვიჩვენებს კორონავირუსისგან ინფიცირებულ და გარდაცვლილ პირთა რიცხვის მნიშვნელოვან შემცირებას, არამედ მაშინ, როდესაც საფონდო და სხვა ბაზრები მიაღწევენ ფსკერს. ამ დროს მსოფლიო ფინანსური ელიტა – ფულის ნამდვილი ბატონ-პატრონები ძირფესვიანად შეისყიდიან გაუფასურებულ აქტივებს და ავლენ მსოფლიო ეკონომიკაზე კონტროლის უმაღლეს საფეხურზე. „ვირუსული ომის“ დასრულებამდე გადაწყვეტილებას მიიღებენ არა ეპიდემიოლოგები, არამედ ფულის გამგებლები.

ამის შემდეგ დაიწყება ეკონომიკური ზრდა. როდესაც ის დასრულდება, ეკონომიკა შევა მორიგ რეცესიაში და მაშინ დასავლეთის მმართველი წრეები კვლავ მოიგონებენ რაიმე ახალ „ვირუსს“. კვლავაც განმეორდება სპექტაკლი სახელწოდებით „ბრძოლა პანდემიასთან“. მოკლედ, ეკონომიკური ციკლის პრინციპულად ახალი სქემა სწორედ ასე შეიძლება დავახასიათოთ. მას სწორედ ვურუსულ-ეკონომიკური ციკლი შეიძლება ვუწოდოთ.

ფულის გამგებლებს, რომლებმაც მოახდინეს მიმდინარე პანდემიის ორგანიზება, უსასრულო ციკლური ეკონომიკური განვითარება არ ჭირდებათ ისევე, როგორც მათ არ ჭირდებათ კაპიტალიზმიც. მათ აინტერესებთ საბოლოო მიზანი – მთელ მსოფლიოზე ძალაუფლება. ისინი ოცნებობენ ახალი მსოფლიო წესრიგის შექმნაზე, სადაც არ იქნება ეროვნული სახელმწიფოები, სადაც დამყარდება მსოფლიო

მთავრობა. ამ წესრიგს უკვე საერთო არაფერი ექნება კლასიკურ კაპიტალიზმთან. მას შეიძლება ეწოდოს ახალი მონათმფლობელური წყობილება ან ახალი ფეოდალიზმი. დაწყებულმა ვირუსულმა ომმა გააშიშვლა მსოფლიო ელიტების გეგმები, გამოააშკარავა მისი აგენტურა, გამოავლინა მათი ძირგამომთხრელი საქმიანობის მრავალი საიდუმლო. პანდემია მსოფლიოს აიძულებს, დაფიქრდეს იმაზე, რაზედაც ის აქამდე არ დაფიქრებულა იმ ვარაუდით, რომ ახალი

მსოფლიო წესრიგის პროექტი - ეს მხოლოდ ერთი მუჭა კონსპიროლოგების ფანტაზიაა. შედეგად მივიღებთ მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანის ბრძოლისათვის მზადყოფნას, ოღონდ არა კორონავირუსის წინააღმდეგ. დაე, ამით დაკავდნენ მედიკოსები და ვირუსოლოგები. ეს ბრძოლა იქნება უფრო მასშტაბური და ორგანიზებული ფულის გამგებლების წინააღმდეგ.

ლიტერატურა/REFERENCES

- <https://www.fondsk.ru/news/2019/10/24/chernyj-chetverg-24-oktjabrja-1929-goda-bankrotstvo-nauchno-obosnovannogo-optimizma-49304.html>
- <https://www.nationalreview.com/news/coronavirus-relief-white-house-adviser-larry-kudlow-projects-aid-package-to-reach-roughly-6-trillion/>
- <https://edition.cnn.com/2020/03/24/politics/trump-easter-economy-coronavirus/index.html>
- Tuguell, P. (1957). *The Democratic Roosevelt, A Biography of Franklin D. Roosevelt*, New York.
- History of the Second World War* (1978). in 12 volumes, vol. 2:341. (In Russian)
- <https://www.fondsk.ru/news/2019/10/09/anglo-amerikanskij-biznes-s-nacistami-49197.html>